განკარგულება:**გ-49. 49261755**
თარიღი:**24/06/2026**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 19 ივნისის №48-4826170252 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის 2026 წლის 19 ივნისის N03-482617064 წერილის (თან ერთვის) თანახმად, შპს ,,გეოლოდსა'' და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2026 წელს გაფორმებული N69 ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 149650 (ასორმოცდაცხრა ათას ექვსასორმოცდაათი) ლარს, შპს ,,გეოლოდის'' მიერ მოწოდებული იქნა დეკორატიული ქვის საზურგიანი სკამები, დეკორატიული ქვის უზურგო სკამები, დეკორატიული ქვის ტალღისებური სკამები, დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდები და დეკორატიული ქვის ურნები. აღნიშნული ქონება საკუთრებაში უნდა გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს''(ქონების ნუსხა თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ. (ქონების ნუსხა თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	მოდელი	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)	საერთო ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)
1	**დეკორატიული ქვის ურნა (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ნაგვის ურნის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N1 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ნაგვის ურნა")	30	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-LTB	430	12900
2	**დეკორატიული ქვის ზურგიანი სკამი (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული საზურგიანი სკამის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N2 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული საზურგიანი სკამი")	33	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-1-600	1200	39600
3	**დეკორატიული ქვის ტალღისებური სკამი (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ტალღისებური სკამის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N3	6	საქართველო	შპს გეოლოდი	BL-MM-24	1250	7500

		- ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ტალღისებური სკამი")						
4	**დეკორატიული ქვის უზურგო სკამი (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული უსაზურგო სკამის ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N4 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული უსაზურგო სკამი")	35	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-BNC-2	950	33250
5	**დეკორატიული ქვის ჭადრაკის მაგიდა (ბეჟი)**	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დეტალურად გაწერილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 მუხლის მიმაგრებულ ფაილებში ("ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ჭადრაკის მაგიდისა და სკამების ტექნიკური მახასიათებლები", "ესკიზი N5 - ბეჟი ქვისგან ჩამოსხმული ჭადრაკის მაგიდა და სკამები")	12	საქართველო	შპს გეოლოდი	BJ-CHESSSET	4700	56400
ჯამური ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით:								149650